

შპს „გალაქსი“

ფინანსური ანგარიშგება

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა
2022 წლის 31 დეკემბერს

შპს „გალაქსი“

ფინანსური ანგარიშგება

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2022 წლის 31 დეკემბერს


სარჩევი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
სრული შემოსავლის ანგარიშგება	4
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	5
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	6
განმარტებითი შენიშვნები	7-13

შპს „გალაქსი“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2022 წლის 31 დეკემბერს
(ლარებში)

	შენიშვნა	31.12.2022	31.12.2021
აქტივები			
<i>გრძელვადიანი აქტივები</i>			
ძირითადი საშუალებები	6	547,319	552,977
არამატერიალური აქტივები		59,012	71,705
სულ გრძელვადიანი აქტივები		606,331	624,682
<i>მიმდინარე აქტივები</i>			
ფული და ფულის ეკვივალენტები		76,652	452,178
სავაჭრო მოთხოვნები		391,439	2,321,042
გადახდილი ავანსები		2,671	717
სასაქონლო-მატერიალური მარაგები		515,061	695,612
სხვა მიმდინარე აქტივები		240,747	215,824
სულ მიმდინარე აქტივები		1,226,570	3,685,373
სულ აქტივები		1,832,901	4,310,055
საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები			
<i>საკუთარი კაპიტალი</i>			
კაპიტალი		200	200
გაუნაწილებელი მოგება (ზარალი)		(27,640,863)	(31,652,843)
სულ საკუთარი კაპიტალი		(27,640,663)	(31,652,643)
<i>ვალდებულებები</i>			
სავაჭრო ვალდებულებები		29,464,826	35,958,160
სხვა ვალდებულებები		8,738	4,538
სულ ვალდებულებები		29,473,564	35,962,698
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		1,832,901	4,310,055
დირექტორი:			
ბუღალტერი:			

7-13 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს „გალაქსი“

სრული შემოსავლის ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ლარებში)

	შენიშვნა	2022	2021
შემოსავალი საქონლის გაყიდვიდან	7	870,309	2,836,256
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	8	(836,169)	(2,287,610)
საერთო მოგება		34,140	548,646
სხვა საოპერაციო შემოსავლები		667	14,687
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	9	(399,842)	(401,503)
საოპერაციო მოგება		(365,035)	161,830
სხვა არასაოპერაციო შემოსავლები		2,561	9,439
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი)		4,272,896	1,909,989
სავალუტო ოპერაციებიდან			
ფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა		101,558	22,855
მოგება დაბეგვრამდე		4,011,980	2,104,113
მოგების გადასახადი			-
წმინდა მოგება		4,011,980	2,104,113
სრული შემოსავალი წლის განმავლობაში		4,011,980	2,104,113

7-13 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს „გალაქი“

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2022 წლის 31 დეკემბერს (ლარებში)

	2022	2021
საოპერაციო საქმიანობა		
მომხმარებლისგან მიღებული ფულადი სახსრები	1,129,747	3,601,040
მომწოდებლებსა და დასაქმებულ პირებზე გაცემული ფულადი სახსრები	(1,378,795)	(2,777,320)
სხვა შემოსავლები/(ხარჯები)	(129,039)	(624,651)
ნეტო ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	(378,087)	199,069
საინვესტიციო საქმიანობა		
ფულადი სახსრების გასვლა გრძელვადიანი აქტივების შეძენისას	-	6,200
მიღებული პროცენტები	2,561	9,439
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული ნეტო ფულადი სახსრები	2,561	15,639
საფინანსო საქმიანობა		
ნეტო ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან	-	-
ნეტო ფულადი სახსრების შემოსვლა ან (გასვლა) წლის განმავლობაში	(375,526)	214,708
ფულადი სახსრები წლის დასაწყისისათვის	452,178	237,470
ფულადი სახსრები წლის ბოლოს	76,652	452,178

დირექტორი:

ბუღალტერი:

შპს „გალაქსი“

მფლობელთა კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2022 წლის 31 დეკემბერს
(ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	აკუმულირებული მოგება/ზარალი	სულ
ნაშთი - 31.12.2020 წ.	200	(33,756,956)	(33,756,756)
2021 წლის წმინდა მოგება / (ზარალი)	-	2,104,113	2,104,113
ნაშთი - 31.12.2021 წ.	200	(31,652,843)	(31,652,643)
2022 წლის წმინდა მოგება / (ზარალი)	-	4,011,980	4,011,980
ნაშთი - 31.12.2022 წ.	200	(27,640,863)	(27,640,663)

დირექტორი



ბუღალტერი

მ. გუგუშვი

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „გალაქსი“ დაფუძნდა 2009 წლის 29 დეკემბერს საქართველოს კანონდამდებლობის მოთხოვნების შესაბამისად. კომპანიის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (შპს), რომლის შესაბამისი წილის 100 % ის მმართველია ჯორჯ ჯექობ, ინდოეთის მოქალაქე. კომპანიის ხელმძღვანელობისთვის უფლებამოსილი პირები არიან:

ნანა გორგაძე - დირექტორი

და

ჯორჯ ჯექობ, ინდოეთის მოქალაქე-დირექტორი

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საცალო საყოფაცხოვრებო ხელსაწყოებით და მოწყობილობებით, სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველი, საცალო ვაჭრობა ელექტრული საყოფაცხოვრებო ხელსაწყოებით სპეციალიზებულ მაღაზიებში, საბითუმო ვაჭრობა ელექტრული საყოფაცხოვრებო ხელსაწყოებით და მოწყობილობებით.

კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი, საბურთალოს რაიონი, პეკინის გამზ., №41

2. მომზადების საფუძვლები

ა) ანგარიშგების შესაბამისობა

წინამდებარე ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი (ფასს) მცირე და საშუალო საწარმოებისათვის შესაბამისად (მსს ფასს). ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში კომპანია იყენებს გარკვეულ მნიშვნელოვან საადრიცხვო შეფასებებს როგორც ამას მოითხოვს მსს ფასს. ფინანსური ანგარიშგების არეები, რომლისთვისაც ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში კომპანია იყენებს მნიშვნელოვან დაშვებებსა და შეფასებებს მოცემულია მე-3 შენიშვნაში.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდს წარმოადგენს კალენდარული წელი, რომელიც იწყება 1 იანვარს და სრულდება 31 დეკემბერს.

ბ) ფინქციონირების უწყვეტობა

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია კომპანიის უწყვეტობის საფუძველზე იმის დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. კომპანიის მენეჯმენტსა და მფლობელებს სურვილი აქვთ, განაგრძონ კომპანიის საქმიანობა საქართველოში. მენეჯმენტს სჯერა, რომ უწყვეტობის პრინციპის გამოყენება შესაფერისია კომპანიისათვის.

3. მნიშვნელოვანი საადრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

კომპანია ახდენს გარკვეული საადრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს საწარმოს ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია:

- ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადების განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა ხდება ხელმძღვანელობის* შეფასებებზე დაყრდნობით, თუ რა პერიოდის განმავლობაში აპირებს კომპანია აქტივიდან სარგებლის მიღებას. პერიოდულად ხდება შეფასებების

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2022 წლის 31 დეკემბერს (ლარში)

სისწორის შემოწმება. სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებებმა შეიძლება მნიშვნელოვანი ვარიაციები გამოიწვიოს საბალანსო ღირებულებებსა და პერიოდის სრული შემოსავლის მუხლებში.

- **სასამართლო დავები.** კომპანია აღიარებს მხოლოდ ისეთ ანარეცხებს, როცა არსებობს მიმდინარე ვალდებულება წარმოშობილი წარსულში მომხდარი მოვლენის გამო, მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გადაცემა და მისი შეფასება საიმედოდაა შესაძლებელი. 2023 წლის 1 ივლისის მდგომარეობით კომპანია არ გააჩნია სასამართლო დავები.

4. ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების პირველად გამოყენება

ანგარიშგება წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) მცირე და საშუალო საწარმოებისათვის შესაბამისად მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებას. წარმოდგენილი ორგანიზაციის მსს ფასს-ების შესაბამისი სააღრიცხვო პოლიტიკა გამოყენებულია 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგებისთვის.

5. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

ქვემოთ წარმოდგენილია სააღრიცხვო პოლიტიკის ის ძირითადი პრინციპები, რომლებიც კომპანიამ გამოიყენა ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადებისათვის.

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

ა) შეფასების და წარდგენის ვალუტა

ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული მუხლები წარმოდგენილია იმ ქვეყნის ვალუტაში, სადაც კომპანია ფუნქციონირებს (ფუნქციონალური ვალუტა). ამგვარად, მოცემული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარებში, რომელიც კომპანიის ფუნქციონალური და წარსადგენი ვალუტაა.

უცხოურ ვალუტაში ასახული ოპერაციების გადაყვანა ფუნქციონალურ ვალუტაში ხდება ოპერაციის მოხდენის ან აქტივების/ვალდებულებების შეფასების დღისთვის არსებული გასაცვლელი კურსით. ასეთი ოპერაციებიდან, ასევე წლის ბოლოს უცხოურ ვალუტაში არსებული მონეტარული მუხლების შეფასებიდან წარმოშობილი საკურსო სხვაობებიდან მიღებული მოგება და ზარალის აღიარება ხდება მოგება/ზარალის ანგარიშგებაში.

საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი	დოლარი	ევრო
კურსი 2022 წლის 31 დეკემბრისთვის	2.7020	2.8844
კურსი 2021 წლის 31 დეკემბრისთვის	3.0976	3.5040

ხარჯების აღიარება

კომპანია გასწევს ხარჯებს საქმის წარმოებაზე თავის საოპერაციო საქმიანობის პროცესში, ხარჯების აღიარება ხდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა შემცირება მომავალი ეკონომიკური სარგებლისა, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებას ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს.

ხარჯების აღიარება ხდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, გაწეული ხარჯებისა და შემოსავლების შორის უშუალო შეპირისპირების საფუძველზე, შემოსავლების კონკრეტული მუხლების მიხედვით.

თუკი ეკონომიკური სარგებლის წარმოშობა მოსალოდნელია რამდენიმე საანგარიშო პერიოდის მანძილზე და კავშირი შემოსავალთან შეიძლება მოიძებნოს მთლიანად ან ნაწილობრივ, მაშინ მოგებისა და ზარალის

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2022 წლის 31 დეკემბერს
(ლარში)

ანგარიშგებაში ხარჯის აღიარება მოხდება რაციონალური გადანაწილების მეთოდით.

ფულადი სახსრები

ფულადი სახსრები გულისხმობს ფულს საბანკო ანგარიშებზე, ფულს სალაროში და დეპოზიტებს ბანკებში მოთხოვნამდე.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები ბალანსში აისახება ისტორიულ ღირებულებას მინუს დაგროვილი ცვეთის თანხა. ისტორიული ღირებულება მოიცავს აქტივის შეძენასთან დაკავშირებულ ყველა პირდაპირ დანახარჯს.

ძირითადი საშუალებების შეძენის შემდგომი დანახარჯები უნდა დაემატოს ამ აქტივის ღირებულებას, ან აღიარდეს ცალკე აქტივად, თუ: მოსალოდნელია, რომ საწარმო მომავალში ამ აქტივის გამოყენებით მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს; და საწარმოსათვის შესაძლებელია აქტივის ღირებულების საიმედოდ შეფასება. საწარმო არ აღიარებს ძირითადი საშუალების საბალანსო ღირებულებაში მისი ყოველდღიური მომსახურების დანახარჯებს, ეს დანახარჯები აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

აქტივის ცვეთის თანხა უნდა განაწილდეს სისტემატურ საფუძველზე, მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში შემდეგნაირად:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა (წელი)
ავტო ტრანსპორტი	4 - 5
ოფისის სტრუქტურა	5 - 8
ავიჯი და სხვა ინვენტარი	5 - 8
სხვა	4 - 5

ძირითადი საშუალებების შემოსვლისას ცვეთის გაანგარიშება იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ, როდესაც ის არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანილი, რაც აუცილებელია მის გამოსაყენებლად. თუ ძირითადი საშუალება შევიდა ექსპლუატაციაში, მას ცვეთა ერიცხება მისი აღიარების შეწყვეტამდე. ძირითად საშუალებებს ცვეთა ერიცხება წრფივი ცვეთის მეთოდით, მათი სასარგებლო მომსახურების ვადების შესაბამისად.

მოგება ან ზარალი, რომელიც წარმოიშობა ძირითადი საშუალებების ერთეულის აღიარების შეწყვეტისას, უნდა განისაზღვროს, როგორც სხვაობა წმინდა გასვლის ამონაგებსა (თუ ასეთი არსებობს) და მათ საბალანსო ღირებულებას შორის.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

მიმდინარე სავაჭრო მოთხოვნები თავდაპირველად აღიარებულია რეალური ღირებულებით, შემდგომში ისინი ასახულია გაუფასურების რეზერვით შემცირებული ამორტიზებული ღირებულებით. სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი დადგენილია საანგარიშო პერიოდის ბოლოს არსებული სავაჭრო მოთხოვნების 5%-ის ოდენობით. გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ვალდებულებები

ვალდებულებები მოცემულია თვითღირებულებით, რომელიც უნდა ანაზღაურდეს და წარმოშობილია მიღებული მომსახურებისა და შეძენილი საქონლისთვის.

ვალდებულებები, რომელთა დაფარვის ვადა ერთ წელზე მეტია, ასახულია, როგორც გრძელვადიანი ვალდებულებები.

ბალანსის შემდგომი მოვლენები

ბალანსის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ,

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2022 წლის 31 დეკემბერს (ლარში)

აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

6. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

ისტორიული ღირებულება	მიწა	ოფისის აღჭურვილობა და ინვენტარი	ავტო ტრანსპორტი	სულ
ისტორიული ღირებულება 31.12.2020	537,917	573,160	99,472	1,210,549
შემოსვლა	-	1,708		1,708
გასვლა	-	-	(13,589)	(13,589)
ისტორიული ღირებულება 31.12.2021	537,917	574,868	85,883	1,198,668
შემოსვლა	-	-	-	-
გასვლა	-	-	-	-
ისტორიული ღირებულება 31.12.2022	537,917	574,868	85,883	1,198,668
დაგროვილი ცვეთა				
დაგროვილი ცვეთა 31.12.2020	-	(549,959)	(99,472)	(649,431)
ცვეთა 2021		(9,849)		(9,849)
ცვეთის კორექტირება 2021			13,589	13,589
დაგროვილი ცვეთა 31.12.2021	-	(559,808)	(85,883)	(645,691)
ცვეთა 2022		(5,658)		(5,658)
დაგროვილი ცვეთა 31.12.2022	-	(565,466)	(85,883)	(651,349)
საბალანსო ღირებულება				
საბალანსო ღირებულება 31.12. 2020	537,917	23,201	-	561,118
საბალანსო ღირებულება 31.12. 2021	537,917	15,060	-	552,977
საბალანსო ღირებულება 31.12. 2022	537,917	9,402	-	547,319

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2022 წლის 31 დეკემბერს (ლარში)

7. შემოსავალი რეალიზაციიდან

კომპანიის მიერ ძირითადი საქმიანობიდან მიღებულმა შემოსავალმა 2022 წელს შეადგინა 870 309 ლარი, ხოლო 2021 წელს შეადგინა 2 836 256 ლარი

რეალიზაცია	2022	2021
შემოსავალი კორპორატიული გაყიდვებიდან		10 650
შემოსავალი საბითუმო რეალიზაციიდან	870 309	2 825 606
სულ	870 309	2 836 256

8. რეალიზებული საქონლის თვითღირებულება

	2022	2021
საწყისი მარაგები	695,612	1,949,432
შესყიდული მარაგები	642,984	1,021,756
შესყიდვებთან დაკავშირებული მომსახურება	12,634	12,034
საბოლოო მარაგები (-)	515,061	695,612
	836,169	2,287,610

9. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები 2022 წლის განმავლობაში შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდგენიარად:

	2022	2021
საიჯარო ხარჯები	37,990	40,068
ხელფასის ხარჯები	214,746	223,015
უიმედო მოთხოვნის ხარჯი	61,521	-
კომუნალური ხარჯები	10,342	10,142
საკანცელარიო და კომპიუტერის ხარჯები	438	171
საოფისე მომსახურება	6,404	19,252
ბანკის საკომისიო	1,310	1,364
სარეკლამო-მარკეტინგული მომსახურების ხარჯი	26,823	59,639
დაზღვევის ხარჯები	4,034	4,886
ტრანსპორტის შენახვის დანახარჯები	4,317	8,331
იურიდიული და აუდიტორული მომსახურების ხარჯი	8,640	7,500
ცვეთა და ამორტიზაცია	18,351	22,735
საგადასახადო ხარჯი	824	461
სხვა საოფისე ხარჯები	4,102	3,939

399,842

401,503

9. პოტენციური ვალდებულებები

ეკონომიკური განვითარების ტენდენციები საქართველოში

ქართული ეკონომიკა ჯერ კიდევ მოიცავს ბაზრის განვითარებასთან დაკავშირებულ რისკებს, რაც გულისხმობს: არასათანადოდ განვითარებულ ბიზნესის ინფრასტრუქტურასა და საწარმოთა საქმიანობის რეგულირების ნორმატიულ ბაზას, ეროვნული ვალუტის შეზღუდულ კონვერტულობას, უცხოური ვალუტაში ოპერაციების განხორციელების შეზღუდვასა და ლიკვიდურობის დაბალ მაჩვენებელს კაპიტალის ბაზარზე. საქართველოს მთავრობამ უკვე მიიღო გარკვეული ზომები აღნიშნული პრობლემების გადასაჭრელად, მიუხედავად ამისა, საკანონმდებლო და საფინანსო სისტემის დარეგულირებასთან დაკავშირებული რეფორმები ჯერ კიდევ არ არის დასრულებული. ასევე მნიშვნელოვანი იქნება კორონავირუსის პირობებში წარმოქმნილი რისკების გავლენა კომპანიის ფინანსურ შედეგებზე.

იურიდიული ვალდებულებები

კომპანიას ჩვეული საქმიანობის პროცესში საქმე არ აქვს სასამართლო სარჩელებსა და პრეტენზიებთან. იმ შემთხვევაში თუ კომპანიას ექნებოდა სასამართლო სარჩელები და პრეტენზიები, მაშინ იგი სათანადოდ ასახავდა ფინანსურ ანგარიშგებაში აღნიშნულ ოპარაციებს, თუ ამ ოპარაციებს არსებითი გავლენა ექნებოდა კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე.

10. კომპანიის საქმიანობის უწყვეტობა

კომპანიის ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისეთი დაშვების საფუძველზე, რომელიც გულისხმობს, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას განუსაზღვრელი დროით მომავალში. ეს ვარაუდი ითვალისწინებს აქტივების რეალიზაციას და ვალდებულებების დაფარვას ჩვეული საქმიანობის პროცესში. ფინანსური ანგარიშგება არ შეიცავს მასში ასახული აქტივების თანხების რაიმე სახის კორექტირებებს, რომელიც აუცილებელი იქნებოდა იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას არ ექნებოდა მომავალში საქმიანობის გაგრძელების შესაძლებლობა ან მოახდენდა საკუთარი აქტივების რეალიზაციას არა თავისი ჩვეული საქმიანობის პირობებში.

11. შესადარისი ინფორმაცია

წინა პერიოდის უზუსტობის გამოსწორების მიზნით გაკეთდა შედარებითი ინფორმაციის შედარება. ამ ცხრილში ნაჩვენებია 2021 წლის 31 დეკემბრისთვის დასრულებული წლის ფინანსური მდგომარეობის მონაცემები, რომ შეჯამებული იქნას კორექტირებები, ფინანსურ ანგარიშგებაში განხორციელებული ცვლილებები.

მიმდინარე აქტივები	2021 საბოლოო	2021 ძველი წინა ანგარიშგების მიხედვით
	კორექტირება	

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2022 წლის 31 დეკემბერს (ლარში)

სავაჭრო მოთხოვნები	2,321,042	(1)	2,321,043
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	695,612	(1,986)	697,598
სხვა მიმდინარე აქტივები	215,824	(112)	215,936
სულ აქტივები	3,232,478	(2,099)	3,234,577
გაუნაწილებელი მოგება (ზარალი)	(31,652,843)	(5,835)	(31,647,008)
სულ საკუთარი კაპიტალი	(31,652,843)	(5,835)	(31,647,008)
<i>ვალდებულებები</i>			
სავაჭრო ვალდებულებები	35,958,160	3,736	35,954,424
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	4,305,317	(2,099)	4,307,416